

## ნარატიული მიდგომა პიროვნებისადმი: ფროიდიდან დღემდე

ლილი ხეჩუაშვილი, PhD

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ასისტენტ პროფესორი

### რეზიუმე:

ნაშრომში მიმოხილულია ნარატიული ფსიქოლოგიისა და პიროვნებისადმი ნარატიული მიდგომის განვითარების გზა ფროიდის ფსიქოანალიზიდან მოყოლებული თანამედროვე კვლევების ჩათვლით. აღწერილია ცხოვრების ნარატიული კვლევის ძირითადი პრინციპები, მოცემულია ნარატივის არსებული დეფინიციები. გარდა ამისა, განხილულია პიროვნება, როგორც მთხრობელი და ნარატიული გონების მქონე; განხილულია ცხოვრების ნარატიული ანალიზისთვის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა ნარატივის ძირითადი ფუნქციები (ინტეგრაციული ცხოვრებისეული ისტორიები, განკურნება და ინტეგრაცია), ნარატიული იდენტობის რაობა და ფორმირება, ტექსტში კონსტრუირებული ცხოვრება. ნაშრომის ბოლოს მოკლედ არის მიმოხილული კარგი ნარატივის შეფასების კრიტერიუმები.

**საკვანძო სიტყვები:** ნარატივი, ცხოვრებისეული ისტორია, იდენტობა, ინტეგრაცია.

პიროვნების ფსიქოლოგიამ აღმასვლისა და ვარდნის ათწლეულები გამოიარა გასულ საუკუნეში (Hogan, R., Johnson, J. & Briggs, S., 1997), როდესაც კრიტიკის სერიებმა ეჭვ ქვეშ დააყენა დარგისადმი ნდობა და მისი საჭიროებაც კი. ყველაზე მნიშვნელოვანი კრიტიკა უოლტერ მიშელს ეკუთვნის, რომელიც ამტკიცებდა (McAdams, D. P., 2006), რომ პიროვნების ნიშანმა მცირეოდენითაც კი ვერ შეძლო ინდივიდუალური ვარიაციების ახსნა და თვლიდა, რომ ადამიანის ქცევა, უპირატესად, გარემოსა და სიტუაციური ვარიაციების ფუნქციას წარმოადგენდა. ადამიანებს უშუალოდ მიმდინარე სიტუაციები კარნახობენ მოქმედებებს და არა — რაღაც სტაბილური შინაგანი ნიშნები. მიუხედავად ასეთი კრიტიკისა და ჩავარდნისა, 1970-1980-იან წლებში ნიშანთა ახალი თეორიები შეიქმნა და უამრავი კვლევა განხორციელდა (მაგალითისთვის იხ. McAdams, 2006, 2008). დღესდღეობით ნიშნის ცნებამ გამოაცოცხლა პიროვნების ფსიქოლოგია, რომელიც ფსიქოლოგიური ინდივიდუალობის აღსაწერად და ასახსნელად მძლავრ თეორიებს და კიდევ უფრო მძლავრ ემპირიულ მონაცემებს გვთავაზობს (McAdams, D. P., 2006). შესაბამისად, დგება საკითხი: სად ჯდება ნარატივები ამ კონტექსტში?

ითვლება, რომ სერიოზული აკადემიური კვლევისთვის ნარატივების გამოყენება ინდივიდუალური შემთხვევების ფროიდისეული ფსიქოანალიტიკური ინტერპრეტაციებით დაიწყო (Atkinson, 1998), თუმცა, ეს კვლევები მეორად დოკუმენტებს ემყარებოდა. ფროიდის მიერ ნარატივების გამოყენება, უპირატესად, ცალკეული ცხოვრებებისთვის ფსიქოანალიტიკური თეორიის მიყენების მცდელობას წარმოადგენდა. გორდონ ოლპორტმა (1942, წყაროში Atkinson, 1998) ინდივიდუალური

პიროვნების განვითარების შესასწავლად პირადი დოკუმენტები გამოიყენა. ის პირველად დოკუმენტებზე, მათ შორის, ნარატივებზე ფოკუსირდებოდა და ამ მასალების ინტერპრეტაციის სანდოობისა და ვალიდობის პრობლემებითაც იყო დაინტერესებული. მეთოდმა სიმწიფეს ერიკ ერიკსონის (1975, წყაროში Atkinson, 1998) ნაშრომებში მიაღწია, რომლებიც ლუთერისა და განდის კვლევას შეეხებოდა. ერიკსონმა ამავე შრომაში ცხოვრებისეული ისტორია იმის საკვლევად გამოიყენა, თუ როგორ ზემოქმედებს ისტორიული მომენტები ადამიანების ცხოვრებაზე. ჰენრი მარეი იყო პირველი, ვინც ცხოვრებისეული ნარატივი პიროვნების განვითარების საკვლევად გამოიყენა (Atkinson, 1998).

პიროვნებისადმი ნარატიულმა მიდგომებმა 21-ე საუკუნის პირველ ათწლეულში დისციპლინის ცენტრისკენ გადაინაცვლეს. პიროვნებისა და იდენტობის ნარატიულ თეორიებზე დაყრდნობითა (მაგალითად, McAdams, 1985; Singer & Salovey, 1993; Tomkins, 1979) და ცხოვრებისეული ისტორიებისა და ავტობიოგრაფიული მოგონებების ირგვლივ ინსაიტების გათვალისწინებით, რომლებიც კოგნიტურ მეცნიერებაში, განვითარებისა და კლინიკურ ფსიქოლოგიაში, ცხოვრების გზის სოციოლოგიაში, ანთროპოლოგიაში, კომუნიკაციის კვლევებსა და განათლებაში იქნა მოძიებული, პიროვნების ფსიქოლოგთა ახალმა თაობამ ფსიქოლოგიური ლაბორატორიები ჩამოყალიბა და კვლევითი პროგრამები შექმნა, რომლებიც პიროვნული ნარატივების ემპირიულ კვლევას ისახავდა მიზნად (Singer, 2004). დღესდღეობით წამყვან ფსიქოლოგიურ ჟურნალებში რეგულარულად ჩნდება ცხოვრებისეული ისტორიების სტრუქტურის, შინაარსისა და დინამიკის ჰიპოთეზების შემოწმებაზე დაფუძნებული კვლევები. გარდა ამისა, ცალკეული ცხოვრებებისადმი ნარატიული მიდგომები აცოცხლებენ იდეოგრაფიული კვლევისადმი პიროვნების ფსიქოლოგიის ისტორიულ ერთგულებას (Nasbe & Read, 1997, წყაროში McAdams, D. P., 2008). ნარატიული თეორიები და ცნებები ფსიქოანალიზის მყარად ფესვგამდგარი დოგმების მძლავრ ალტერნატივას გვთავაზობს შემთხვევების შესწვლისა და ბიოგრაფიების ინტერპრეტაციების და დროთა განმავლობაში და საზოგადოების კონტექსტში ცალკეული ცხოვრების ინტენსიური შესწავლისას (Josselson, 2004; McAdams, 2005; Wiggins, 2003, წყაროში McAdams, D. P., 2008).

პიროვნული ნარატივებისა და ცხოვრებისეული ისტორიების კვლევების უმრავლესობაში ძირითად ცნებას ნარატიული იდენტობა წარმოადგენს, რომელიც საკუთარი თავის შესახებ ინდივიდის ინტერნალიზებულ, განვითარებად და ინტეგრირებულ ცხოვრებისეულ ნარატივს ანუ მოთხრობას მოიაზრებს. ცხოვრებისეული ნარატივი ანუ ისტორია ინტერნალიზებული და განვითარებადი კოგნიტური სტრუქტურა ანუ სკრიპტია, რომელიც ინდივიდის ცხოვრებას გარკვეულ შინაარსსა და მიზანს სძენს, ასახავს რა დომინანტურ და/ან ძირითად კულტურულ ნარატივებს, რომელთა კონტექსტშიც მიმდინარეობს ინდივიდის ცხოვრება (McAdams, D. P., 2006).

თეორეტიკოსთა და მკვლევართა სულ უფრო და უფრო მზარდი რაოდენობა თანხმდება, რომ ადამიანები ნარატიული იდენტობების აგებას მოზარდობისას და ადრეული მოზარდილობისას იწყებენ და ამ მოთხრობებზე მუშაობას მთელი მოზარდილი ცხოვრების განმავლობაში აგრძელებენ (Birren, Keneyon, Ruth, Shroots, & Bluck, 2000; McAdams, 1985, 1993). მოთხრობები, რომლებსაც ადამიანები საკუთარი ცხოვრებისთვის შინაარსის მისაცემად ქმნიან, თანამედროვე მოზარდილებს რთულ

სოციალურ ეკოლოგიაში მათი ადგილის პოვნაში ეხმარებათ. მაშასადამე, სწორედ ნარატიული იდენტობის რეალიებში გვიჩვენებს პიროვნება საკუთარ ყველაზე მნიშვნელოვან და ჩახლართულ ურთიერთობებს კულტურასა და საზოგადოებასთან (McAdams, 2006; Rosenwald, 1992). სხვაგვარად რომ ვთქვათ, ცხოვრებისთვის შინაარსის მისაცემად ჩვენ მიერ შექმნილი მოთხრობები, არსებითად, შეეხება იმას, თუ როგორ ვიბრძვით იმის მოსაწესრიგებლად, თუ ვინ ვიყავით ჩვენი წარმოსახვით, ვინ ვართ და ვინ შეიძლება ვიყოთ მომავალში ჩვენი გონებითა და სხეულით ჩვენი ოჯახის, თემის, სამსახურის, ეთნიკურობის, რელიგიის, გენდერის, სოციალური კლასისა და კულტურის სოციალურ კონტექსტში. მე (self) საზოგადოების პირობებთან შეგუებას ნარატიული იდენტობის მეშვეობით ახერხებს.

### ცხოვრების ნარატიული კვლევის ძირითადი პრინციპები

ფროიდი (1900/1953) სიზმრების ნარატივების შესახებ წერდა, იუნგი (1936/1969) უნივერსალურ ცხოვრებისეულ მითებს იკვლევდა, ადლერი (1927) ადრეული მოგონებების ნარატივებით იყო დაინტერესებული, მარეი (1938) თატ-ის მოთხრობებსა და ავტობიოგრაფიულ მონათხრობებში განმეორებადი თემების იდენტიფიცირებით იყო დაკავებული, თუმცა, გასული საუკუნის პირველ ნახევარში შექმნილი პიროვნების არც ერთი კლასიკური თეორია ექსპლიციტურად არ აღწერს ადამიანს, როგორც მოთხრობელს და მის ცხოვრებას, როგორც მის მიერ მოთხრობილ ამბავს.

პიროვნების პირველი ნარატიული თეორიები 1970-იანი წლების ბოლოს და 1980-იანების დასაწყისში გამოჩნდა. ტომკინსმა (Tomkins, S. S., 1979) პიროვნების სკრიპტის თეორია შემოგვთავაზა, რომელიც განვითარებად ინდივიდს სცენარისტს ადარებს, რომელიც ემოციური ცხოვრების ორგანიზებას გამორჩეული სცენებისა და განმეორებადი თემების ტერმინებით ახდენს. ტომკინსის აზრით, ყველაზე მნიშვნელოვან ინდივიდუალურ განსხვავებებს ფსიქოლოგიურ ცხოვრებაში ბევრი არაფერი აქვთ საერთო ბაზისურ ნიშნებთან და მოთხოვნილებებთან; ისინი აფექტურად დატვირთული გარკვეული ტიპის სცენებსა და წესებით გენერირებულ სკრიპტებს უფრო შეეხება, რომლებსაც ინდივიდები საკუთარი გამოცდილებიდან აგებენ ცხოვრების განმავლობაში. დაახლოებით მსგავსი მოსაზრება ეკუთვნის მაკადამსს (McAdams, D. P., 1985), რომელმაც იდენტობის ცხოვრებისეული ისტორიის მოდელი შექმნა. ამ მოდელის მიხედვით, თანამედროვე საზოგადოებაში მცხოვრები ადამიანები მოზარდობის ბოლოსკენ და ადრეულ მოზარდობაში იწყებენ თავიანთი ცხოვრების, როგორც განვითარებადი ისტორიის, კონსტრუირებას, რომელიც რეკონსტრუირებული წარსულისა და ანტიციპირებული მომავლის ინტეგრაციას ახდენს, რათა ცხოვრებას გარკვეული ერთიანობის შესახედაობა და მიზანი შესძინოს. ადამიანებს შორის არსებულ ყველაზე მნიშვნელოვანი ინდივიდუალური განსხვავებების რიცხვში შედის მათი ნარატიული იდენტობების სტრუქტურული და შინაარსობრივი განსხვავებები. როგორც მაკადამსი ამტკიცებს, ეს განსხვავებები თვალსაჩინონი ხდებიან მონათხრობის წყობაში, ქარგაში, პერსონაჟებში, სცენებში, ხატებსა და თემებში. სინგერი და სალოვი (1993, წყაროში McAdams, D. P., 2008) აღწერენ მე-ს განმსაზღვრელ მოგონებებს, როგორც ინდივიდის ცხოვრებაში მომხდარი გამოკვეთილი და ემოციურად ინტენსიური მოვლენების რეპრეზენტაციებს, რომლებიც განმეორებად ცხოვრებისეულ საფიქრალებს

ასახავენ. ისინი თვლიან, რომ მე-ს განმსაზღვრელი მოგონებები ნარატიული იდენტობის ძირითად მდგენელს წარმოადგენენ.

ტომკინსის, მაკადამსისა და სინგერის ორიგინალურ ფორმულირებებში ცხოვრებისეული ისტორიები ავტობიოგრაფიულ პროექტებად არის მიჩნეული (Thorne, 2006, წყაროში McAdams, D. P., 2008). ნოველისტების ან სცენარისტების მსგავსად, ადამიანები მუშაობენ თავიანთ ისტორიებზე, რათა ინტეგრირებული და შინაარსიანი პროდუქტი მიიღონ. ცხოვრებისეული ისტორიების, როგორც ფსიქოლიტერატურული მიღწევების, ფუნქციას ცხოვრებისთვის შინაარსის მიცემა წარმოადგენს, რადგან ისინი ინდივიდის მრავალი განსხვავებული როლისა და ნიშნის სინთეტურ მთლიანში ინტეგრირების საშუალებას იძლევიან. მათი საშუალებით ადამიანებს შეეთავაზებათ მიზეზ-შედეგობრივი ახსნა იმისა, თუ როგორ გახდნენ ისეთები, როგორებიც არიან (Habermas & Bluck, 2000, წყაროში McAdams, D. P., 2008).

ცხოვრების ნარატიული შესწავლის ალტერნატიული პერსპექტივა 1990-იან წლებში წარმოიქმნა პოსტმოდერნისტულ და სოციალურ-კონსტრუქტივისტულ მიდგომებთან ერთად, რომელიც გერგენმა (1991) და სხვებმა (მაგალითად, იხ. Bamberg, 1997; Shotter & Gergen, 1989) შემოგვთავაზეს. განვითარდა რა კომუნიკაციური კვლევებიდან და ლიტერატურის თეორიიდან, ეს მიდგომები პიროვნულ ნარატივებსა და ცხოვრებისეულ ისტორიებს სიტუაციურ წარმოდგენებს<sup>1</sup> უწოდებენ (Thorne, 2006). მაგალითად, გერგენის მიხედვით, ადამიანები სოციალურ ცხოვრებაში იმდენი განსხვავებული სახის ისტორიას ყვებიან და გაითამაშებენ, რამდენი სოციალური სიტუაციაც არის იმ სოციალურ გარემოში, რომელშიც ყვებიან და გაითამაშებენ ამ ისტორიებს. თითოეული წარმოდგენა შეგვიძლია შევადაროთ ტექსტს, რომელიც ისე უნდა დავშალოთ, რომ მასში მოცემული ცვალებადი დინამიკა დავინახოთ, თუმცა, არა — უფრო მსხვილი ცხოვრებისეული პატერნები ან მნიშვნელობები. პიროვნული ნარატივები მრავალ და ერთმანეთის საპირისპირო თვითქსპრესიებსა და ხედვის კუთხეებს ავლენენ, როგორც ეს ჰერმანსის (1996) დიალოგიური მე-ს გავლენიან თეორიაშია წარმოდგენილი. ჰერმანსის თვალსაზრისით, ნარატიული იდენტობა პოლიფონიურ ნოველას ჰგავს, რომელსაც ბევრი სხვადასხვა ხმა ყვება ერთ პიროვნებაში; ყველა, ვინც ჩართულია ერთმანეთთან დიალოგში და გარე სამყაროს რეალურ პერსონაჟებთან.

ბოლო წლებში ცხოვრებისეული ნარატივების თეორიები ცდილობენ, რომ შუალედური პოზიცია დაიკავონ პიროვნულსა და სოციალურს შორის, მიიჩნევენ რა ნარატიულ იდენტობას როგორც ავტობიოგრაფიულ პროექტად, ისე — სიტუაციურ/სიტუაციით განსაზღვრულ წარმოდგენად (იხ. McAdams, Josselson, & Lieblich, 2006 არსებული მოსაზრებებისთვის). მიუხედავად ამისა, ცხოვრებისეული ისტორიების შემსწავლელი ფსიქოლოგები თეორიული პერსპექტივებისა და შესატყვისი მეთოდოლოგიური პრიორიტეტების ფართო სპექტრს წარმოადგენენ.

დღესდღეობით არ არსებობს ერთი კონკრეტული თეორია ან კვლევითი პარადიგმა, რომელიც უკვე შესრულებულ ყველა სამუშაოს გააერთიანებდა. თუმცა, მეცნიერულ ლიტერატურასა და ცხოვრების ნარატიულ კვლევებში ისევ და ისევ ჩნდება გარკვეული ფართო თემები. სხვადასხვა მიდგომების წარმომადგენლები, ზოგადად, თანხმდებიან ქვემოთ განხილული ექვსი პრინციპის ვალიდობაზე.

<sup>1</sup> Situated performances.

### პრინციპი 1: „მე“ არის ნარატივი

როგორც ბრუნერი (1986, წყაროში McAdams, D. P., 2008) იტყობდა, ადამიანები თავიანთი ბუნებით მთხრობელები არიან. უილიამ ჯემსის ცნობილი გამონათქვამი რომ გამოვიყენოთ, მე (self) მოიცავს სუბიექტურ მთხრობელ „მე“-ს (I), ვისი მონათხრობებიც პიროვნული გამოცდილების შესახებ მოთხრობილი „ჩემის“ (me) ნაწილად და ერთობლიობად იქცევა. მე მთხრობელიც არის და მოთხრობილი ისტორიებიც.

ბავშვები ადრეული ასაკიდანვე ყვებიან ცხოვრების შესახებ ამბებს, აერთიანებენ რა პიროვნულ გამოცდილებას გარემოს, პერსონაჟის, სცენისა და ქარგის სტრუქტურაში. მოზარდობისა და მოზრდილობის პერიოდში ადამიანები ავტობიოგრაფიულ მონათხრობში თავს უყრიან წარსულიდან გახსენებულ ეპიზოდებს, რომელიც ცხოვრების პერიოდების (მაგალითად, „როცა სკოლაში ვსწავლობდი, „სანამ ახალ სახლში გადავიდოდით საცხოვრებლად“), ზოგადი მოვლენების („საუნივერსიტეტო ოლიმპიადა, რომელიც ძალიან მომწონდა“, „ბოლო კურსის სტუდენტური დღეები“) და კონკრეტული მოვლენის შესახებ ცოდნის („ჩემი მეათე დაბადების დღე,“ „დღე, როდესაც ჩემი პირველი შვილი დაიბადა“) ტერმინებით შეიძლება ორგანიზირდეს (Conway & Pleydell-Pearce, 2000, წყაროში McAdams, D. P., 2008). ცხოვრების წრფივად წარმოდგენის ნაცვლად, ავტობიოგრაფიული მოგონებები უაღრესად სელექციური და სტრატეგიულია. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ცხოვრების შესახებ გარკვეულ ობიექტურ ფაქტებს მოიცავენ, წარსულის შესახებ მონათხრობი მნიშვნელოვნად წარმოადგენს პიროვნული შინაარსების გამოხატულებას (Schacter, 1996, წყაროში McAdams, D. P., 2008). ამასთან, ავტობიოგრაფიული მოგონებები ისე კოდირდება და ამოიტანება მოგვიანებით, რომ პიროვნების მიზნებს ემსახურებოდეს. ამიტომ ცხოვრებისეული მისწრაფებები და მიმდინარე პროექტები გავლენას ახდენენ იმაზე, თუ როგორ ორგანიზდება წარსულის შესახებ პიროვნული ნარატივები და, ასევე, სამომავლოდ გენერირებული მიზნები. მაშასადამე, ცხოვრებისეული ისტორიები ყოველთვის შეეხება როგორც რეკონსტრუირებულ წარსულს, ისე — წარმოსახულ მომავალს (McAdams, D. P., 2008).

### პრინციპი 2: ნარატივები ცხოვრების ინტეგრირებას ახდენენ

ნარატივებს ბევრი ფუნქცია აქვთ. ისინი გართობის, განათლების, შთაგონების, მოტივაციის, თავის გამოვლენის, ორგანიზებისა და ხელის შეშლის ფუნქციას შეიძლება ასრულებდნენ. თუმცა, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვან ფუნქციას ინტეგრაცია წარმოადგენს (Habermas & Bluck, 2000; McAdams, 2001, წყაროში McAdams, D. P., 2008). ხშირად მონათხრობები გასაგებ ჩარჩოში აქცევენ ცალკეულ იდეებს, პერსონაჟებს, მოვლენებსა და ცხოვრების სხვა ელემენტებს, რომლებიც მანამდე განცალკევებულად არსებობდნენ. ფსიქოლოგიურად რომ ვთქვათ, ცხოვრებისეულმა ისტორიებმა ინტეგრაცია ორი გზით შეიძლება განახორციელონ (McAdams, D. P., 1985): (1) ადამიანების მონათხრობები საკუთარი თავის შესახებ შეიძლება სინქრონულ პატერნში აერთიანებდნენ მე-სთვის მიწერილ სხვადასხვა ტენდენციას, როლს, მიზანსა და გახსენებულ მოვლენებს. ეს პატერნი გვიჩვენებს, თუ ცალკეული პიროვნება, რომელიც, როგორც ჩანს, ამდენად ბევრ განსხვავებულ რამეს მოიცავს რთულ სოციალურ სამყაროში, ამასთანავე, ერთი მთლიანიც (კომპლექსული და წინააღმდეგობრივიც კი) არის. მაგალითად, ცხოვრებისეულმა ისტორიამ შეიძლება ახსნას, თუ პიროვნება, რომელიც საკუთარ თავს „მზრუნველს“ და „ლმობიერს“ უწოდებს და თვლის, რომ

შეუძლია პირად ცხოვრებაში კონფლიქტებისთვის თავის არიდება, როგორ ახერხებს, რომ მაინც წარმატებულად მოღვაწეობს სასამართლო სტრუქტურაში; (2) ადამიანების მონათხრობები დიაქრონულ ინტეგრაციას უზრუნველყოფენ, რაც დროში დალაგებას გულისხმობს. ისინი კაუზალურ ახსნებს გვაძლევენ იმის შესახებ, თუ როგორ მოძრაობს პიროვნება ერთი მდგომარეობიდან მეორესკენ და შემდეგ მესამესკენ ცხოვრებაში. მაგალითად, გვიჩვენებს, თუ როგორ იქცა 20 წლის მეამბოხე სტუდენტი რესპექტაბელურ მეწილედ 35 წლის ასაკში.

ინტეგრაციული ნარატიული იდენტობის ფორმულირება განსაკუთრებით დიდი გამოწვევაა თანამედროვე საზოგადოებებში მცხოვრები ინდივიდებისთვის, რომლებიც პიროვნული ინტეგრაციის მიღწევას მუდმივად ცვალებად, წინააღმდეგობრივ და მრავალსახოვან სოციალურ სამყაროში ცდილობენ, სადაც არ არსებობს კონკრეტული მითითებები და კონსენსუსი იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა ვიცხოვროთ და რას ნიშნავს ცხოვრება (Giddens, 1991, წყაროში McAdams, D. P., 2008). ნარატიული იდენტობისადმი ზოგიერთი მიდგომა ინდივიდის, როგორც ერთი მთლიანის, ცხოვრების დონეზე ინტეგრაციას შეისწავლის (McAdams, 1985), სხვებს კი ყოველდღიური ცხოვრების სცენები და ვითარებები აინტერესებთ (Pasupathi, 2001; Thorne, 2000, წყაროში McAdams, D. P., 2008). განურჩევლად იმისა, კონკრეტული ეპიზოდი გვაინტერესებს თუ მთლიანი ცხოვრება, ადამიანები თხრობისას, როგორც წესი, ავტობიოგრაფიული მსჯელობით კავდებიან, როდესაც ცხოვრების კონკრეტული/ეპიზოდური გამოცდილებიდან ზოგადი/სემანტიკური მნიშვნელობის გამოტანას ცდილობენ (Habermas & Bluck, 2000; Pals, 2006b, წყაროში McAdams, 2008).

### **პრინციპი 3: ნარატივებს სოციალურ ურთიერთობებში ყვებიან**

ნარატივების შესახებ მარტივი, მაგრამ არსებითი სიმართლე ის არის, რომ ადამიანები ყვებიან მათ. ამბების მოყოლა ადამიანთა შორის ურთიერთობების ფუნდამენტურ ფორმას წარმოადგენს (Atkinson, 1998). ადამიანები სხვა ადამიანებს უყვებიან ამბებს. ამიტომ ამბები/მონათხრობები სოციალურ ფენომენს წარმოადგენენ, რომლებიც საზოგადოებრივი მოლოდინებისა და ნორმების შესატყვისად მოითხოვს. ხაზს უსვამენ რა ცხოვრებისეული ისტორიების თხრობის დისკურსიულ და პერფორმანსულ ასპექტებს, ბევრი მკვლევარი ამტკიცებს, რომ მე-ს ნებისმიერი ნარატიული გამოხატულების გაგება შეუძლებელია ნავარაუდები მსმენელის ან აუდიტორიის გარეშე, რომლისთვისაც არის ის განკუთვნილი, რათა სასურველი ეფექტი მოახდინოს. ავტობიოგრაფიული ნარატორები/მთხრობელები წინასწარ განჭვრეტენ, თუ რისი გაგონება სურს მათ აუდიტორიას და ეს ანტიციპაცია გავლენას ახდენს იმაზე, თუ რას და როგორ მოყვებიან ისინი (Pasupathi, 2001; Wortham, 2001, წყაროში McAdams, 2008).

კვლევა აჩვენებს, რომ ადამიანები განსაკუთრებულად დასამასხოვრებელ მოვლენებს ხშირად მათი მოხდენისთანავე და ბევრჯერ უზიარებენ სხვებს (Rime, Mesquita, Philippot, and Boca, 1991, წყაროში McAdams, 2008). მოვლენის შესახებ კიდევ და კიდევ თხრობა მთხრობელს ამ მოვლენის ემოციური მნიშვნელობის გარკვევაში ეხმარება. თორნი და მაკლინი (2003, წყაროში McAdams, 2008) თვლიან, რომ ასეთ გარკვეულობას იმიტომ აღწევს მთხრობელი, რომ მსმენელები მისგან ითხოვენ იმის გაგონებას, თუ რას ნიშნავს მოყოლილი ამბავი. „მსმენელები ხშირად ითხოვენ მნიშვნელობას/შინაარსს; ადრე თუ გვიან, ისინი დაჟინებით მოითხოვენ, იცოდნენ, თუ

რატომ უყვებიან ამ ამბავს“ (Thorne & McLean, 2003, გვ. 170, ციტირებულია წყაროში McAdams, 2008). მნიშვნელობა/შინაარსი გადმოიცემა არა მხოლოდ იმით, რასაც მთხრობელი ამბობს, არამედ იმითაც, თუ როგორ ამბობს. მთხრობელი კონკრეტულ ემოციურ და სოციალურ პოზიციას იკავებს თავისი აუდიტორიის წინაშე ისევე, როგორც პროტაგონისტი — ამბავში ნახსენები სხვა პერსონაჟების მიმართ (Bamberg, 1997, წყაროში McAdams, 2008). თორმა და მაკლინმა აღმოაჩინეს, რომ სტუდენტები, რომლებიც ცხოვრებაში გადატანილი ტრავმული მოვლენების შესახებ ჰყვებოდნენ ამბავს, საკუთარ თავს სამიდან ერთ-ერთ პოზიციაზე ათავსებდნენ: მამაცი და გაბედული, მზრუნველი და შეწუხებული, ან სუსტი და მოწყვლადი.

კვლევები, ასევე, აჩვენებენ, რომ (Pasupathi, 2001, 2006, წყაროში McAdams, 2008) როდესაც ადამიანები საკუთარი ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ ყვებიან, ნებისმიერი რეაქცია, მტრულიც კი, უკეთესია, ვიდრე საერთოდ ურეაქციობა.

ადამიანები პირად მოვლენებს სხვადასხვაგვარად და სხვადასხვა მსმენელს უყვებიან და ამიტომ შეუძლიათ თხრობის სხვადასხვა მეთოდს შორის მოძრაობა. მაკლინი და თორნი (2006) აღწერენ თხრობის დრამატულ და რეფლექტორულ მეთოდებს. დრამატულ მეთოდში მთხრობელი ხშირად იყენებს არავერბალურ მანიშნებლებს, ბევრ ციტატას და დიალოგს მოიხმობს და ცდილობს, მომხდარი თავიდან გაითამაშოს თხრობისას. რეფლექტორულ მეთოდში მთხრობელი შედარებით ნაკლებ დროს უთმობს იმის აღწერას, თუ რა მოხდა და მეტად ფოკუსირდება იმაზე, თუ რას შეიძლება ეს მოვლენა ნიშნავდეს და რა გრძნობები დაეუფლა თავად მას. რეფლექტორული მეთოდი უფრო ეფექტიანად გამოგვეცემს ინფორმაციას, განსაკუთრებით ინტეგრეტიციულ ინფორმაციას. დრამატული მეთოდი კი მეტად თვალსაჩინოს და საინტერესოს ხდის მონათხრობს (McAdams, D. P., 2008).

#### **პრინციპი 4: ნარატივები იცვლებიან დროთა განმავლობაში**

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ავტობიოგრაფიული მეხსიერება უაღრესად არასტაბილურია. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანებს დროის გასვლის შემდეგ, ჩვეულებრივ, კარგად ახსოვთ მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული მოვლენების არსი, ხშირად არასწორად აგონდებათ დეტალები (Schacter, 1996, წყაროში McAdams, 2008). გასახსენებელი მოვლენიდან რაც უფრო მეტი დროა გასული, მით უფრო მატულობს ფაქტობრივი შეცდომების რაოდენობა ავტობიოგრაფიულ მოგონებებში. მაშასადამე, ავტობიოგრაფიული მეხსიერების დროში არასტაბილურობას თავისი წვლილი შეაქვს დროთა განმავლობაში ცხოვრებისეული ისტორიის ცვლილებაში. თუმცა, აქ ბევრი სხვა პროცესიც მონაწილეობს და ბევრი მათგანი გვიჩვენებს, თუ როგორ იცვლება ადამიანი სოციალური სამყაროს პირობებთან ადაპტირებისას. ყველაზე კარგად ჩანს, რომ ადამიანები დროთა განმავლობაში აგროვებენ ახალ გამოცდილებას, რომელიც იმდენად მნიშვნელოვანი აღმოჩნდება, რომ თავის კვალს ამჩნევს ნარატიულ იდენტობას. გარდა ამისა, ადამიანების მოტივაციების, მიზნების, პიროვნული საფიქრალეებისა და სოციალური პოზიციების ცვლილებასთან ერთად, მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული მოვლენების შესახებ მოგონებები და მათთვის მინიჭებული შინაარსებიც შეიძლება შეიცვალოს (Conway & Pleydell-Pearce, 2000; Sinfer & Salovey, 1993, წყაროში McAdams, 2008). ასევე, იცვლება ადამიანების ავტობიოგრაფიული პრიორიტეტებიც.

მაკადამისა და მისი კოლეგების (2006) მიერ წამოებულ სამწლიან განმეორებით კვლევაში კოლეჯის სტუდენტებს სამჯერ სთხოვეს, რომ თავიანთი ცხოვრებიდან 10

ძირითადი სცენა გაეხსენებინათ. მკვლევრებმა აღმოაჩინეს, რომ პირველ ჯერზე გახსენებული მოვლენების მხოლოდ 28% გამოვლინდა სამი თვის შემდეგ განმეორებითი კვლევისას (დროის მეორე მომენტში) და პირველი სერიისას მოყოლილი ამბების მხოლოდ 22% იყო წარმოდგენილი სამი წლის შემდეგ (დროის მესამე მომენტი).<sup>2</sup> სამი წლის შემდეგ სტუდენტების ცხოვრებისეული ისტორიები გაცილებით კომპლექსური გახდა და მათში უფრო მეტი რაოდენობის ისეთი თემა იყო შესული, რომლებიც პიროვნულ ზრდასა და ინტეგრაციაზე მიუთითებდა (McAdams, Bauer, et. al., 2006, წყაროში McAdams, 2008). დოკუმენტირებულია ცხოვრებისეული ისტორიების პიროვნულ განვითარებასთან ერთად ცვლილების შესატყვისი შედეგები, რომლის მიხედვითაც არსებობს მნიშვნელოვანი კავშირი, ერთი მხრივ, ასაკს და, მეორე მხრივ, პიროვნული ნარატივის სხვადასხვა სტრუქტურულ და შინაარსობრივ განზომილებას შორის (მაგალითისთვის იხ. Bauer, McAdams, & Sakaeda, 2005b; Pratt & Fiese, 2004).

### პრინციპი 5: ნარატივები კულტურული ტექსტებია

ცხოვრებისეული ისტორიები იმ კულტურის ანარეკლს წარმოადგენენ, რომელშიც იქმნება და ითქმება ეს ისტორია (McAdams, 2006). მონათხრობები კულტურაში ცხოვრობენ: ისინი იზადებიან, იზრდებიან, განივრცობიან და საბოლოოდ კვდებიან იმ ნორმების, წესებისა და ტრადიციების შესაბამისად, რომლებიც მოცემულ კულტურაში პრევალირებენ; საზოგადოების იმპლიციტური გაგების შესატყვისად, თუ რას ნიშნავს მოსაყოლად ღირებული ცხოვრება (Rosenwald, 1992, წყაროში McAdams, 2006). ჰაბერმასი და ბლაკი (2000) ამტკიცებენ, რომ ვიდრე პიროვნება დამაჯერებელი ცხოვრებისეული ისტორიის შექმნას შეძლებს, ის ბიოგრაფიის კულტურულ ცნებას უნდა გაეცნოს. რუბინის (2005) თქმით, ფაქტობრივად, იმის დიდი ნაწილი, რაც ადამიანებს „ახსოვთ“, როგორც საკუთარი ცხოვრების ისტორია, რეალურად საზიარო კულტურული ცოდნაა ცხოვრების კურსის შესახებ.

ბოლო წლებში ფსიქოლოგებმა მნიშვნელოვანი განსხვავებები გამოავლინეს აღმოსავლეთ აზიურ და ჩრდილო-ამერიკულ საზოგადოებებს შორის, ავტობიოგრაფიული მეხსიერებისა და თვითკონსტრუქციის თვალსაზრისით. მაგალითად, ჩრდილო-ამერიკელი მოზრდილები, როგორც წესი, უფრო ადრეული პერიოდიდან იხსენებენ პირველ მოგონებას და უფრო დეტალიზებულად ახსოვთ ბავშვობა, ვიდრე ჩინელ, იაპონელ და კორეელ მოზრდილებს (Leichtman, Wang, & Pillemer, 2003). ამასთან, ზოგიერთი კვლევა აჩვენებს, რომ ჩრდილო-ამერიკელების პირადი მოგონებები უფრო მეტად არის საკუთარ თავზე ფოკუსირებული, ვიდრე აღმოსავლეთ აზიელების (მაგალითად, Wang, 2001).

მიუხედავად არსებული განსხვავებებისა, ნებისმიერ საზოგადოებაში სხვადასხვა ისტორია ეჯიბრება ერთმანეთს დომინანტობისა და მიღების მოსაპოვებლად. მაგალითად, ფემინისტები, როგორც არის ჰეილბრუნი (1988), ამტკიცებენ, რომ დასავლურ საზოგადოებებში მრავალი ქალი „მოკლებულია ნარატივებს, ტექსტებს, ქარგებს, ან მაგალითებს, რომლითაც ისინი საკუთარ ცხოვრებას საკუთარ ხელში აიღებდნენ“ (გვ. 17). მტკივნეულია, მაგრამ ცხადია, რომ ცხოვრებისეული ისტორიებზე

<sup>2</sup> მკვლევრები (McAdams, et. Al, 2006) აღნიშნავენ, რომ მიუხედავად ამბების მანიფესტირებული შინაარსის ცვლილებისა, გარკვეული ემოციური და მოტივაციური თვისებების აღსანიშნავი ლონგიტუდური კონსისტენტურობაც შეინიშნებოდა მონათხრობებში და, ასევე, კონსისტენტური იყო ნარატივის კომპლექსურობის დონე.

აისახება საზოგადოების გენდერული და კლასობრივი წყობა და ის, ამა თუ იმ ფორმით, იმ ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული კონტექსტების ჰეგემონიის პრევალირებული პატერნების ამსახველიც ხდება, რომელშიც ცხოვრობენ მოცემული ადამიანები.

აქვე უნდა ითქვას, რომ ბამბერგი და ენდრიუსი (2004) დომინანტული კულტურული მოდუსების მიღმა და საწინააღმდეგოდ ცხოვრებისთვის შინაარსის მინიჭების მცდელობებს აღწერენ, ე. წ. კონტრ-ნარატივების ფორმირების გზით. კონტრ-ნარატივებს მრავალ განსხვავებულ კულტურულ გარემოში შეიძლება წავაწყდეთ. ისინი განსაკუთრებით გამოკვეთილნი არიან უმცირესობებში, ეკონომიკურად არახელსაყრელ მდგომარეობაში მყოფ და საზოგადოების სხვა მარგინალიზებულ ჯგუფებში.

### პრინციპი 6: ზოგიერთი ნარატივი სხვაზე უკეთესია

ცხოვრებისეული ისტორია ყოველთვის გვთავაზობს მორალურ პოზიციას, რომელშიც ადამიანები ინტენციური, მორალური აგენტები არიან, რომელთა მოქმედებები ყოველთვის შეიძლება კონსტრუირდეს მოცემულ საზოგადოებაში „კარგისა“ და „ცუდის“ გაგების პოზიციიდან (MacIntyre, 1981). გარდა ამისა, თავად მონათხრობები შეიძლება შეფასდეს, როგორც შედარებით კარგი ან ცუდი ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, თუმცა, ეს შეფასებები მორალურ პოზიციასაც მოიცავენ და იმ საზოგადოების ღირებულებებსა და ნორმებს ასახავენ, რომელშიც ხდება მონათხრობის შეფასება. ბოლო ათწლეულში იმატა ნარატიულ მკვლევართა შორის ინტერესმა, თუ რა ქმნის კარგ ცხოვრებისეულ ისტორიას (მაგალითისთვის იხ. King, 2001). მკვლევრებმა შეისწავლეს ნარატივის თანმიმდევრულობა და სირთულე; ასევე, ის, თუ რამდენად უკავშირდებიან ცხოვრებისეული ისტორიების კონკრეტული მახასიათებლები ფსიქოლოგიურ სიმწიფეს, ფსიქიკურ ჯანმრთელობასა და პროფესიულ და ოჯახური ცხოვრებით კმაყოფილებას (მაგალითისთვის იხ. J. Adler, Kissel, & McAdams, 2006; Bauer, McAdams, & Sakaeda, 2005a).

უფრო და უფრო მეტი კლინიკური ფსიქოლოგი და კონსულტანტი თვლის, რომ ფსიქოთერაპია, თავისი არსით, მონათხრობის რეფორმულირებისა და გაუმჯობესების პროცესია (Angus & McLeod, 2004; Lieblich, McAdams, & Joselson, 2004; Singer, 2005, წყაროში McAdams, 2006). ნარატიული თერაპიის პოზიციიდან, კლიენტები ხშირად დარღვეულ და დეზორგანიზებულ ცხოვრებისეულ ისტორიებს ყვებიან, რომელთაც წვლილი შეაქვთ მათ სიმპტომებსა და საფუძვლადმდებარე გაუარესებულ ფსიქიკურ ჯანმრთელობაში (Dimaggio & Semarari, 2004; Neimeyer & Tschudi, 2003, წყაროში McAdams, 2006). ნარატიული თერაპევტები კლიენტებს თავიანთი გაუმართავი ცხოვრებისეული ისტორიების ტრანსფორმირებაში ეხმარებიან, რათა ახალი ისტორიები მიიღონ, რომლებიც ზრდას, ჯანმრთელობასა და ადაპტაციას უწყობენ ხელს. ნარატიული ჩარევა სასჯელაღსრულების სისტემაშიც გამოიყენება, სადაც კონსულტანტები ბრალდებულების რეაბილიტაციაზე ისეთი ცხოვრებისეული ისტორიების განვითარების მეშვეობით მუშაობენ, რომლებიც შეცდომების გაცნობიერებას, სირცხვილთან გამკლავებასა და რეფორმულირებული ცხოვრების საზრისის დანახვას უწყობენ ხელს (Maruna & Ramsden, 2004, წყაროში McAdams, 2006).

## რა არის ნარატივი

ნარატივის განსაზღვრის მრავალი გზა არსებობს. ლინგვისტური და სემიოტიკური პარადიგმების ჩარჩოში მომუშავე მეცნიერთათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის ცენტრალურ ამოცანას წარმოადგენს ნარატივის განსაზღვრა და იმის გარკვევა, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს ნარატივად და რა — არა. ზოგიერთი ტრადიციის ფარგლებში, განსაკუთრებით იქ, სადაც დიდია სტრუქტურალისტური ლიტერატურული თეორიის გავლენა, თვლიან, რომ „ნარატივი“ და „მონათხრობი“ სხვადასხვა რამაა. სრულიად განსხვავებულ პოზიციაზე მდგომი ზოგიერთი მეცნიერი კი, განსაკუთრებით მოქმედებაზე ორიენტირებული ანთროპოლოგები, თვლიან, რომ სულაც არ არის საჭირო დროის კარგვა ნარატივის, როგორც ასეთის, განსაზღვრაზე. საინტერესო ის კი არ არის, თუ რა არის მონათხრობი, როგორც გარკვეული სახის ტექსტი, არამედ ის, თუ თავად ამბის თხრობის ეპიზოდს რა მნიშვნელობა აქვს, როგორც გარკვეული სახის სოციალურ აქტს (Mattingly, Ch., 2002).

მეტინგლი (2002) თვლის, რომ მონათხრობები მოქმედებასა და გამოცდილებას შეეხება. მარტივად რომ ვთქვათ, ნარატივები ანუ მონათხრობები შეეხება იმას, რომ ვიღაც რაღაცის გაკეთებას ცდილობს და იმას, თუ რა ემართება ამ ვიღაცას და სხვებს ამ მოქმედებების შედეგად. ეს განსაზღვრება დასავლურ (კერძოდ, არისტოტელესეულ) ლიტერატურულ ტრადიციაში იღებს სათავეს და მოიაზრებს სტრუქტურალისტურ ფოკუსს ფორმასა და ტრადიციულ მიმეტიკურ ფოკუსს ნარატივზე, როგორც მოვლენის რეპრეზენტაციაზე, სადაც „მოვლენას“ მოქმედება და გამოცდილება ქმნის (Aristotle, 1970, წყაროში Mattingly, 2002). მეტინგლი ხაზს უსვამს ნარატივის ანუ მონათხრობის „მოვლენურ“ ხასიათს, მის მიერ ადამიანის მოქმედებების ასახვასა და ამ მოქმედებების ქარგაში გაერთიანებას, რომელსაც თავისი დასაწყისი, შუა ნაწილი და დასასრული აქვს. თუმცა, ის ფაქტი, რომ ნარატივი მოქმედებასაც მოიცავს და გამოცდილებასაც, ისევე მნიშვნელოვანია, როგორც ის, თუ როგორ ზემოქმედებენ მასში ასახული მოვლენები პროტაგონისტზე და რა მნიშვნელობის (შინაარსის) მატარებლები არიან ისინი მისთვის. ადამიანის მოქმედებებისა და გამოცდილებისთვის ყურადღების მიპყრობით ნარატივი ადამიანის ხასიათის კვლევა-ძიებას წარმოადგენს. ნარატივი გვიჩვენებს ხასიათს, რომელიც ერთდროულად ვლინდება კიდეც და აიგება კიდეც მასში გადმოცემული მოვლენების მეშვეობით (Polkinghorne, D. E., 1991).

მეტინგლი (2002) მიიჩნევს, რომ ნარატივი არ განისაზღვრება მხოლოდ მისი შინაარსით. ის გადმოცემის სტილითაც ხასიათდება. წარმატებული ნარატივი მსმენელის გულს წვდება და მასში გადმოცემული მოვლენებისადმი ინტერესს აღვიძებს.

კროსლის (2011) განმარტებით, პირადი ნარატივი არის კონკრეტული სახის მონათხრობი/ისტორია/ამბავი, რომელსაც თითოეული ჩვენგანი საკუთარი მე-ს მიზანმიმართულ და დამაჯერებელ მთლიანში განსხვავებული ნაწილების გასაერთიანებლად აგებს. ყველა სხვა ნარატივის მსგავსად, პირად ნარატივს აქვს თავისი დასაწყისი, შუა ნაწილი და დასასრული. ის, ასევე, განისაზღვრება ქარგისა და ხასიათის განვითარების მიხედვით (Crossley, M. L., 2011).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ არ „აღმოვაჩინთ“ საკუთარ თავს ნარატივში, არამედ ნარატივის მეშვეობით ვქმნით საკუთარ თავს (McAdams, D. P., 1993). ჩვენ იმგვარად ვქმნით ნარატივს, რომ „საკუთარი ცხოვრება და სხვების ცხოვრება აზრს

იძენენ“ (გვ. 92). ნარატივის მეშვეობით განვსაზღვრავთ, თუ ვინ ვართ, ვინ ვიყავით და ვინ შეიძლება გავხდეთ მომავალში.

## ნარატივების მნიშვნელობა

### ნარატიული გონება

ამბების მოყოლა ადამიანური ურთიერთობების ძირითადი ფორმაა. მას არსებითი ფუნქციის შესრულება შეუძლია ჩვენს ცხოვრებაში (Atkinson, 1998). ადამიანები თავიანთი ბუნებით მთხრობელები არიან. ჩვენ ხშირად ვფიქრობთ და ვლაპარაკობთ ისტორიების/ამბებს ფორმით და ჩვენს ცხოვრებასაც ამბების მეშვეობით ვძენთ აზრს. ყოველდღიურ ცხოვრებაში ამბების მოყოლა მოვლენის, გამოცდილების ან ნებისმიერი სხვა ხდომილობის ნარატიულ ანგარიშს იძლევა. ჩვენ შეგვიძლია ამ მოვლენების შესახებ საუბარი, ვინაიდან ვიცით, რა მოხდა. სწორედ მოვლენის საფუძვლიანი ცოდნა გვაძლევს საშუალებას და გვიბიძგებს მოყოლისკენ.

ზოგადად, როდესაც საკუთარი ცხოვრების შესახებ ვყვებით, საკუთარ თავზე ვმუშაობთ, რადგან საკუთარი ცხოვრების უფრო სიღრმისეულ მნიშვნელობას ვაგნებთ რეფლექსიისა და მოვლენების, გამოცდილებებისა და განცდილი გრძნობების ვერბალიზაციის მეშვეობით. ეს ყოველთვის ასე იყო (Atkinson, 1998). გადმოცემის ბევრი ფორმა, როგორც არის ხალხური ზღაპრები, ლეგენდები, მითები, ეპიკური ისტორიები, ისტორია, პანტომიმა, ფილმები და სადამოს ახალი ამბების გამოშვებებსაც კი, რომელთაც „მონათხრობს“, „ისტორიას“ ვუწოდებთ, ყველა ცნობილ ადამიანურ კულტურაში იჩენს თავს (Mink, 1978; Sarbin, 1986, წყაროში McAdams, 2006). ალბათ, სწორედ ამიტომაც არის, რომ გვაქვს მოთხოვნილება, რომ ჩვენი ცხოვრება თანმიმდევრული, გასაგები და აზრიანი გავხადოთ (Atkinson, 1998). შეგვიძლია ვთქვათ, რომ მონათხრობი არის ბუნებრივი პაკეტი, რომელიც სხვადასხვაგვარი ინფორმაციის ორგანიზებისთვის არის მოწოდებული. თხრობა, როგორც ჩანს, ჩვენი თავისა და ჩვენი სამყაროს სხვებისთვის გამოხატვის ფუნდამენტური საშუალებაა (Coles, 1989; Howard, 1989; Linde, 1990; Vitz, 1990, წყაროში McAdams, 2006). გაიხსენეთ ბოლო შემთხვევა, როდესაც შეეცადეთ, რომ თქვენი თავის შესახებ რაღაც მართლაც მნიშვნელოვანი გეცნობებინათ მეორე ადამიანისთვის. დიდია ალბათობა, რომ ამ ამოცანას ამბის მოყოლით გაართვით თავი; ანდა გაიხსენეთ განსაკუთრებით ინტიმური საუბარი თქვენი წარსულიდან. ამ საუბარს, სავარაუდოდ, ასეთად ის ამბები და მათი გადმოცემის სტილი აქცევენ, რომლებიც თქვენ და თქვენმა მოსაუბრემ ერთმანეთს გაუზიარეთ. ფაქტობრივად, ადამიანთა ყოველდღიური კომუნიკაციის დიდი წილი ამა თუ იმ ფორმის თხრობას წარმოადგენს. ზოგიერთი მეცნიერი ფიქრობს, რომ ჩვენ ამბების მოსაყოლად ვართ გაჩენილნი. სწორედ ეს უნარი განგვასხვავებს ცხოველებისგან და კომპიუტერებისგან.

დღის ბოლოს მოყოლილი ამბები ადამიანების საერთო, საზიარო ისტორიას ქმნიან, აკავშირებენ რა ერთმანეთთან აქტორებს, მთხრობელსა და აუდიტორიას დროსა და მოვლენებში. ასეთი ამბები არ წარმოადგენენ წასრულის ობიექტურ გამეორებას. მათში ფაქტები უფრო ნაკლებად არის მოცემული, ვიდრე ამ ფაქტების მნიშვნელობები. წარსულის სუბიექტური და შელამაზებული თხრობისას მისი კონსტრუირება ხდება, ანუ იქმნება ისტორია. ისტორიის სიმართლე-მცდარობის შესახებ მხოლოდ ემპირიული ფაქტების სიზუსტით კი არ მსჯელობენ, არამედ ისეთი ნარატიული კრიტერიუმითაც,

როგორც არის „დამაჯერებლობა“ და „თანმიმდევრულობა.“ ცხოვრებაში არსებობს ნარატიული სიმართლე, რომელიც საკმაოდ შორს დგას ლოგიკისგან, მეცნიერებისა და ემპირიული დემონსტრირებისგან (Spence, 1982). ეს „კარგი მონათხრობის“ სიმართლეა (McAdams, D. P., 2006).

კოგნიტურ მეცნიერებაში წარმოებული თანამედროვე კვლევები აჩვენებენ, რომ ადამიანის ტვინი მომართულია გამოცდილების ნარატიული ტერმინებით კონსტრუირებისკენ. „ცნობიერება მაშინ იწყება, როდესაც ტვინი ამბის უსიტყვოდ მოყოლის ძალას იძენს; ამბისა იმის შესახებ, რომ ორგანიზმში სიცოცხლე ჩქეფს“ (Damasio, 1999, გვ. 30, ციტირებულია წყაროში McAdams, 2006). აქ ავტორი გულისხმობს იმას, რომ ადამიანის ცნობიერება იმის შედეგია, რომ ინდივიდი მენტალურად ნარატორის (მთხრობელის) პოზიციის დაკავების უნარს იძენს. ცნობიერება განვილილი გამოცდილების უწყვეტ თხრობას მოიცავს; ეს არის გარკვეული სახის მიმდინარე ნარატივის ნაკადი, რომელიც ადამიანის გონებაში მიედინება. ამბის მოყოლას, პირველ რიგში, სიტყვები სჭირდება, მაგრამ მეტყველების/ენის შემდგომი განვითარება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ჩვენს ცნობიერებაზე. თუ თავის ტვინს შეუძლია, რომ მრავალ განსხვავებულ მოდულს მოიცავდეს, რომელთაგან თითოეული კონკრეტული ფუნქციის შესასრულებლად არის მოწოდებული, ინტეგრაცია ამ მრავალფეროვნის პირობებში პიროვნული გამოცდილების მონათხრობების მეშვეობით კონსტრუირებისა და ინტერპრეტაციის უნარით მიიღწევა, რომელიც თავის ტვინს ახასიათებს. როსერი და გაზანიგა (2004, გვ. 56, წყაროში McAdams, 2006) თავიანთ ნაშრომში „ავტომატური ტვინი, ინტერპრეტაციული გონება“ წერენ, რომ ცნობიერების უმაღლეს დონეზე პიროვნული ნარატივის კონსტრუირება ხდება. ნარატივი ტვინის ქცევასაც გასაგებს ხდის და ერთიანი მე-ს განცდის საფუძველსაც შეიძლება წარმოადგენდეს.

ჯერომ ბრუნერი (1986; 1990, წყაროში McAdams, 2006) თვლის, რომ ადამიანები სამყაროს შემეცნებას ორი განსხვავებული გზით ახორციელებენ. პირველს ის აზროვნების პარადიგმულ მეთოდს უწოდებს. ამ მეთოდის ფარგლებში საკუთარი გამოცდილების წვდომას უაღრესად რაციონალური ანალიზის, ლოგიკური დასაბუთებისა და ემპირიული დაკვირვების ტერმინებით ვცდილობთ. ჩვენ სამყაროში წერიგს იმ ლოგიკური თეორიების ტერმინებით ვეძებთ, რომლებიც მოვლენების ახსნაში, რეალობის პროგნოზირებასა და გაკონტროლებაში გვეხმარებიან. პარადიგმულ მეთოდში მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ძიებით ვართ დაკავებულნი. როდესაც ვარკვევთ, თუ როგორ მუშაობს ავტომობილის ძრავა, ან როგორ წარმოიქმნება წყლის მოლეკულა ერთი ატომი ჟანგბადისა და ორი ატომი წყალბადის შეერთებით, მაშინ ვთვლით, რომ წარმატებით გავართვით თავი ლოგიკურ კაუზალურ მსჯელობას და შედეგიც მივიღეთ. ფორმალური განათლების სისტემა, უპირატესად, სწორედ პარადიგმული მეთოდის წახალისებას ახდენს. კარგი ლოგიკოსები და მეცნიერები განსაკუთრებით გაწაფულნი არიან ამ ფორმის აზროვნებაში.

ამის საპირისპიროდ, აზროვნების ნარატიული მეთოდი თავად იმ მონათხრობებს შეეხება, რომლებიც „ადამიანის ინტენციის დროში ორგანიზებული ცვალებადობის“ შესახებ არის (Bruner, 1986, წყაროში McAdams, 2006). ასეთ მონათხრობებში მოვლენები არ აიხსნება ლოგიკური ან ფიზიკური მიზეზებით. ნარატიული მეთოდი, ზოგადად, არ ოპერირებს ავტომობილის ძრავის ან მოლეკულური ქიმიის რეალობაში. ამის ნაცვლად, მას საქმე აქვს ადამიანის სურვილებთან, მოთხოვნილებებთან და მიზნებთან. ნარატიულ მეთოდში მოვლენები იმ აქტორების ტერმინებით აიხსნება, რომლებიც

დროთა განმავლობაში რაიმეს გაკეთებისკენ ისწრაფვიან. მე თუ რაიმეს შესახებ კარგი ამბის მოყოლა მსურს, დამაჯერებელი ნარატივი უნდა წარმოვადგინო, რომელიც მოტივირებულ ქმედებებსა და ადამიანის ქცევის შინაარსიან შედეგებს შეეხება; ჩემი მონათხრობი დროში უნდა იყოს განფენილი თავისი დასაწყისით, ძირითადი ნაწილითა და დასასრულით. ასე მაგალითად, ჩემი მეგობრის მიერ შაბათ-კვირას განხორციელებული უცნაური ქცევა, შესაძლოა, იმის მიხედვით ავხსნა, თუ რას სურს მას ცხოვრებაში და რატომ ვერასოდეს იღებს იმას, რაც სურს; და ამ ახსნისას სამი წლის წინანდელი ამბავი გავიხსენო, როდესაც მან ბევრი უსიამოვნება გადაიტანა მეუღლესთან ურთიერთობაში. მისი და მისი ქცევის გასაგებად, შესაძლოა, ჩემი მონათხრობის მოსმენა მოგიწიოთ (McAdams, D. P., 2006).

კარგი ნოველისტები და პოეტები ნარატიული მეთოდის ოსტატები არიან. ისინი განსაკუთრებით ეფექტურნი არიან, როდესაც, როგორც ბრუნერი ამბობს, „უფრო მეტს გულისხმობენ, ვიდრე ამბობენ“ (Cordes, 1986, ციტირებულია წყაროში McAdams, 2006). სხვა სიტყვებით, კარგი მონათხრობი ბევრ განსხვავებულ შინაარსს ბადებს და მკითხველს ვარაუდების გამოთქმისკენ უბიძგებს. ამის საპირისპიროდ, პარადიგმული მეთოდის ოსტატები ცდილობენ, რომ „უფრო მეტი თქვან, ვიდრე გულისხმობენ“ (Bruner in Cordes, 1986). კარგი მეცნიერი ან ლოგიკოსი სიზუსტესა და მკაფიოობაზე მუშაობს. მეცნიერული და ლოგიკური ახსნები ისეა აგებული, რომ ხელი შეუშალოს ალტერნატიული ვარიანტების დაშვებას. ისინი თავისთავად არ გვიბიძგებენ სხვა ახსნების ან განსხვავებული მოსაზრებების გენერირებისკენ. თუ ისინი მაინც აკეთებენ ამას, ვიტყვით, რომ ფორმულირებები ბუნდოვანი ან ამბიციურია, რაც ხელს უშლის ობიექტური ჭეშმარიტების ასახვას.

### განკურნება და ინტეგრაცია

ადამიანები ამბებს სხვადასხვა მიზეზით ყვებიან. ამბები გვართობენ, გვაცინებენ და გვატირებენ, მოთმინებით აღგვავსებენ და ზემოქმედებენ, ჭკუას გვარიგებენ. მოქმედებასა და ცხოვრებას ამბებით ვსწავლობთ; ვიგებთ სხვა ადამიანების, სიტუაციებისა და იდეების შესახებ (Coles, 1999, წყაროში McAdams, 2006). ამბებმა მორალური გაკვეთილებიც შეიძლება მოგვცენ. ეზოპესა და იესოს იგავები სხვადასხვა სიღრმის სიბრძნის მატარებელია კარგისა და ცუდის, მორალურისა და ამორალურის, ცხოვრებისეული დილემების შესახებ. გართობისა და განათლების ფუნქციის გარდა, ამბებს ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა ასპექტის ინტეგრაციის ფუნქციაც შეიძლება ჰქონდეთ. ზოგიერთი მეცნიერი თვლის, რომ ინტეგრაცია და განკურნება მონათხრობებისა და თხრობის ორ ძირითად ფსიქოლოგიურ ფუნქციას წარმოადგენენ. მონათხრობმა შეიძლება თავი მოუყაროს ჩვენს ცხოვრებას, როდესაც განადგურებულად, დაშლილად და დამსხვრეულად ვგრძნობთ თავს; განგკურნოს, როდესაც ავად ვართ; სტრესებთან გამკლავებაში დაგვეხმაროს და ფსიქოლოგიური კმაყოფილებისა და მოწიფულობისკენაც კი გვიბიძგოს.

ფსიქოანალიტიკოსი ბრუნო ბეტელჰეიმი (1977) საინტერესოდ წერს საბავშვო ზღაპრების ფსიქოლოგიურ ძალაზე. მას მიაჩნდა, რომ ისეთი ზღაპრები, როგორიც არის, მაგალითად, „კონკია,“ ბავშვებს შინაგანი კონფლიქტებისა და კრიზისების გადამუშავებაში ეხმარება. ის თვლის, რომ როდესაც 4 წლის პატარა ამ ზღაპარს ისმენს, ის არაცნობიერად კონკიასთან იდენტიფიცირდება და თავად განიცდის მის ფრუსტრაციას, სევდასა და საბოლოო ტრიუმფს (McAdams, D. P., 2006).

მონათხრობის განმაკურნებელი ძალა ძირითად თემად იქცევა ფსიქოთერაპიის გარკვეულ ფორმებში, როდესაც მკურნალობის ექსპლიციტურ მიზანს ცხოვრების დეპათოლოგიზაცია წარმოადგენს. მაგალითად, ფსიქონალიზი ამტკიცებს, რომ თანმიმდევრული ცხოვრებისეული ისტორიის დალაგება თერაპიის ძირითად მიზანს წარმოადგენს. ფსიქონალიზი მოიცავს თანმიმდევრული ნარატივის შექმნის პროცესს, რომლითაც ანალიტიკოსი და კლიენტი მისი ცხოვრების შესახებ მეტად ადეკვატური და სიცოცხლის უნარიანი ისტორიების შექმნით არიან დაკავებულნი (Schafer, 1981, წყაროში McAdams, 2006). „დაავადებას, ნაწილობრივ მაინც, საფუძვლად უდევს ის, რომ კლიენტი ვერ ახერხებს თანმიმდევრული ისტორიის მოყოლას, ან საკუთარი თავის არაადეკვატური ნარატიული ახსნით ოპერირებს.“ თერაპევტი და კლიენტი ერთად მუშაობენ განმაკურნებელი ნარატივის შექმნაზე (White & Epston, 1990, წყაროში McAdams, 2006). ამ პროცესში ტრიუმფალური ტრანსფორმაცია შეიძლება განიცადოს კლიენტმა, ანდა პროგრესი ნელი და ნაკლებად თვალსაჩინო იყოს.

მკვლევრებმა შეისწავლეს, თუ რამდენად დადებითად მოქმედებს ამბების მოყოლა დაძლევისა და მენტალურ ჯანმრთელობაზე. ყველაზე ცნობილია ჯეიმს პენებაკერისა და მისი კოლეგების კვლევები, რომლებიც (1988, 1989b, 1992, 1997, 2003, წყაროში McAdams, 2006) პიროვნული ტრავმის შესახებ თხრობის განმაკურნებელ ეფექტს შეეხებოდა. კვლევათა სერიებმა აჩვენა, რომ პიროვნული ტრავმების სიტყვებში გამოტანის ნარატიული აქტი ხანგრძლივ დადებით ეფექტს ახდენდა ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე. ამასთან, ჯანმრთელი ფსიქიკური მდგომარეობისთვის როგორც უარყოფითი ემოციების გამოხატვა, ისე ნათელი კოგნიტური მონათხრობის წარმოდგენა, მნიშვნელოვან კომპონენტებს წარმოადგენენ.

მეტინგლი (2002) თვლის, რომ ნარატივისთვის დამახასიათებელი სამი თვისება განსაკუთრებით სასარგებლოდ აქცევს მას განკურნების მიზნებისთვის. პირველ რიგში, ეს ნარატივის მოვლენაზე ცენტრირებულობაა. ის მოქმედებას, კერძოდ, ადამიანის მიერ განხორციელებულ მოქმედებას და კიდევ უფრო კონკრეტულად, ადამიანების ურთიერთქმედებას შეეხება. ის სოციალურ ქმედებას მოიაზრებს. მეორე თვისება ნარატივის გამოცდილებაზე ცენტრირებულობაა. ის უბრალოდ კი არ აღწერს იმას, თუ ვიღაც რას აკეთებს სამყაროში, არამედ იმასაც გვიჩვენებს, თუ სამყარო როგორ მოქმედებს ამ ვიღაცაზე. ნარატივი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, თუ რას ნიშნავს (რა განცდაა) კონკრეტული მონათხრობის სამყაროში ყოფნა. ნარატივი ისეთ მოვლენებსაც მოიცავს, რომლებიც აქტორის სურვილისგან დამოუკიდებლად, მოულოდნელად ხდება და ხშირად არასასურველიცაა და ეს მაშინაც კი ხდება, როდესაც აქტორი თხრობისას სწორედ ამ მოვლენებს აყენებს პირველ ადგილზე. ამგვარად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნარატივი მოქმედების არაწინასწარგანზრახული თანმიმდევრობის შესახებ მოგვითხრობს (Arendt, 1958, წყაროში Mattingly, Ch., 2002). მესამე, ნარატივი უბრალოდ წარსულ გამოცდილებას კი არ შეეხება, არამედ ქმნის კიდევ ამ გამოცდილებას მსმენელისთვის. ნარატივი მოწოდებულია, რომ პროვოკაციული იყოს. ის მსმენელისგან დენოტაციული<sup>3</sup> პროზისგან განსხვავებულ რეაქციას მოითხოვს. ნარატივი მეხსიერებაში მოგონებების გაცოცხლების, ხატებისა (იმიჯების) და უთქმელის საიდუმლოების მეშვეობით გვთავაზობს მოყოლილი ამბის მნიშვნელობას/აზრს.

<sup>3</sup> მიმათითებელი, აღწერი, ფაქტების კონსტატაციით დაკავებული.

## ნარატიული იდენტობა

ერიკ ერიკსონს ფსიქოსოციალური განვითარების სტადიურ მოდელში შემოაქვს იდენტობის ცნება. მისი მიხედვით (McAdams, D. P., 2006), მოზარდობის დასაწყისიდან და ადრეულ მოზრდილობაში თანამედროვე ადამიანები მე-ს კონსტრუირების ფსიქოსოციალური ამოცანის წინაშე დგებიან, რომელიც მათ ცხოვრებას ერთიანობას, მიზანსა და შინაარსს სძენს. ამ დროს ცხოვრების მანძილზე პირველად ინტერესდება ადამიანი შემდეგი კითხვებით, რომლებიც პრობლემატური ხდება მისთვის: „ვინ ვარ მე?“ „როგორ ვერგები მოზრდილთა სამყაროს?“ ერიკსონი თვლის, რომ ამ კითხვებზე პასუხების გაცემისას იმის კონსტრუირებას ვიწყებთ, რასაც იგი კონფიგურაციას უწოდებდა. ის მოიცავს „კონსტიტუციურად მოცემულ, იდიოსინკრაზულ ლიბიდოურ მოთხოვნილებებს, მნიშვნელოვან იდენტიფიკაციებს, ეფექტურ დაცვებს, წარმატებულ სუბლიმაციებსა და კონსისტენტურ როლებს“ (Erikson, 1959, გვ. 116, ციტირებულია წყაროში McAdams, 2006). იდენტობის კონფიგურაცია „ლიბიდოს ცვალებადობებთან, განვითარებულ უნარებთან და სოციალურ როლებში შეთავაზებულ შესაძლებლობებთან ყველა იდენტიფიკაციის“ ინტეგრირებას ემსახურება. იდენტობის კონფიგურაციის ფორმირებას მოიაქვს „თავდაჯერებულობის მომატება, რომ წარსულში შექმნილი შიდა იგივეობრიობა და უწყვეტობა იმ მოსაზრების უწყვეტობასა და იგივეობრიობას შეესაბამება, რომელიც ამ ინდივიდის შესახებ გააჩნიათ სხვებს“ (Erikson, 1963, გვ. 261, ციტირებულია წყაროში McAdams, 2006). მაშასადამე, იდენტობის კონფიგურაცია მრავალი განსხვავებული რამის შინაარსიან/მნიშვნელობის მქონე პატერნში გაერთიანების ანუ ინტეგრაციის ფუნქციას ემსახურება. ის ერთ თანმიმდევრულ მთლიანში უყრის თავს უნარებს, ღირებულებებს, მიზნებსა და როლებს. ის აერთიანებს იმას, რაც შეუძლია და რისი გაკეთებაც სურს პიროვნებას სოციალურ გარემოში მოქმედებისთვის არსებული შესაძლებლობებისა და შეზღუდვების პირობებში. ის, ასევე, დახსომებული წარსულის, განცდილი აწმყოსა და ანტიციპირებული მომავლის ასპექტებს აერთიანებს.

როგორ შეიძლება გამოიყურებოდეს იდენტობის ეს უნიკალური „კონფიგურაცია“? მაკადამსი ამტკიცებს, რომ იდენტობის კონფიგურაციის ფორმირება, რომელზეც ერიკსონი საუბრობს, პირველ რიგში, ინტეგრაციული ცხოვრებისეული ისტორიის (ამბის, მონათხრობის)<sup>4</sup> სახით უნდა წარმოვიდგინოთ, რომლის კონსტრუირებასაც პიროვნება გვიან მოზარდობასა და ადრეულ მოზრდილობაში იწყებს (McAdams, 1984b, 1985a, 1985b, 1987, 1993, 1997b, 2001a). სულ უფრო მეტი და მეტი პიროვნების, სოციალური, კოგნიტური, განვითარებისა და კლინიკური ფსიქოლოგი აღწერს იდენტობას იმ ნარატივის ანუ ისტორიის/მონათხრობის ტერმინებით, რომლებსაც ადამიანები ჰყვებიან სოციალურ სამყაროში (Angus & McLeod, 2004; Conway & Holmes, 2004; Fivush & Haden, 2003; Pratt & Triese, 2004; Schachter, 2004; Singer, 2004, წყაროში McAdams, 2006). სინგერის (2004) და სხვების მსგავსად, მაკადამსი ტერმინით ნარატიული იდენტობა აღნიშნავს ინტერნალიზებულ და განვითარებად ისტორიას მე-ს შესახებ, რომელსაც პიროვნება ცნობიერად და არაცნობიერად აგებს მე-ს მრავალი განსხვავებული ასპექტის გასაერთიანებლად. ნარატიული იდენტობა პიროვნების ცხოვრებას გარკვეული ხარისხის ერთიანობას, მიზანსა და შინაარსს სძენს.

<sup>4</sup> story

ჰაბერმასი და ბლაკი (2000, წყაროში McAdams, 2006) ამტკიცებენ, რომ მხოლოდ მოზარდობიდან შეუძლიათ ადამიანებს თავიანთი ცხოვრების ორგანიზებისთვის ცხოვრებისეული ისტორიების სქემების ეფექტურად გამოყენება. ცხოვრებისეული ისტორიის სქემა არის მენტალური სტრუქტურა ანუ პატერნი, რომელიც ცხოვრებისთვის მონათხრობის ფორმის მისაცემად, ადამიანის ცხოვრებიდან ნარატიული იდენტობის ასაგებად არის მოწოდებული. ეს ავტორები თვლიან, რომ ადამიანებს უნდა შეეძლოთ, სულ მცირე, ოთხი ფსიქიკური უნარის გამოყენება, რათა თანმიმდევრული ცხოვრებისეული ისტორია შექმნან.

პირველი და ყველაზე ბაზისურია, რომ მათ უნდა შეეძლოთ მცირე ზომის, მიზანმიმართული ამბების აგება მათი ცხოვრების კონკრეტული ეპიზოდების შესახებ. ჰაბერმასი და ბლაკი ამას დროით თანმიმდევრობას უწოდებენ, ვინაიდან გვიჩვენებს, რომ პიროვნებას დროთა განმავლობაში მომხდარი ქმედებების თანმიმდევრობის მოყოლა შეუძლია. ეს უკვე შეუძლიათ საბავშვო ბაღის ასაკის ბავშვებს და შემდგომში უკვე ახერხებენ ამას.

მეორე, ადამიანებს უნდა შეეძლოთ ცხოვრების გზის შესახებ თავიანთი ავტობიოგრაფიული მოსაზრებების საზოგადოების მოლოდინებისადმი მორგება, რასაც ჰაბერმასი და ბლაკი ბიოგრაფიულ თანმიმდევრობას უწოდებენ. მოზარდობის დასაწყისისთვის ადამიანთა უმრავლესობას საკმაოდ კარგად ესმის საზოგადოების მოლოდინები ცხოვრების გზის თაობაზე. მაგალითად, ის, რომ ადამიანები ბავშვობაში სკოლაში უნდა დადიოდნენ, შემდეგ ცალკე გადავიდნენ საცხოვრებლად და იქორწინონ, გააჩინონ და გაზარდონ ბავშვები და სადღაც 60-70 წლის ასაკში პენსიაზე გავიდნენ; რომ ადამიანები იშვიათად ცოცხლობენ 90 წელზე მეტ ხანს და ა. შ.

მესამე, კაუზალური ანუ მიზეზ-შედეგობრივი თანმიმდევრობა მოზარდობის შუა პერიოდში იწყებს განვითარებას, როდესაც ადამიანები თავიანთი ცხოვრების სხვადასხვა მოვლენის ერთ კაუზალურ ნარატივში გაერთიანების უნარს იძენენ. მაგალითად, 15 წლის მოზარდს შეუძლია ახსნას, თუ რატომ არის ასე იმედგაცრუებული თავისი მეგობრის ქცევით და ამისათვის მოყვეს ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ დაიწყო მათი ურთიერთობა, განვითარდა და მოულოდნელად გაფუჭდა. მოვლენათა სერიების კაუზალურ თანმიმდევრობაში გაერთიანებით მას შეუძლია, რომ თავისი ამჟამინდელი სასოწარკვეთის მიზეზები ნარატივში ახსნას.

და ბოლოს, ადამიანები განსაკუთრებით ეფექტურები ხდებიან თემატური თანმიმდევრობის თვალსაზრისით, როდესაც გვიანი მოზარდობის პერიოდში გადადიან. თემატურ თანმიმდევრობაში პიროვნებას შეუძლია პიროვნული მოვლენების მონათხრობი თანმიმდევრობიდან ზოგადი თემის ან პრინციპის გამოყვანა საკუთარი თავის შესახებ. ამრიგად, ცხოვრებისეული ისტორიის სქემა მოიცავს დროითი, ბიოგრაფიული, კაუზალური და თემატური თანმიმდევრობის იმპლიციტურ წვდომას, როგორც ის ჩნდება კონკრეტულ ცხოვრებაში. მას შემდეგ, რაც ადამიანები გაიზარდნენ ამ თანმიმდევრობებს, მათ შეუძლიათ საკუთარი ნარატიული იდენტობების განვითარებისთვის მათი გამოყენება.

მამასადამე, მოზარდობასა და ადრეულ მოზრდილობაში ვიწყებთ ნარატიული იდენტობების ანუ თვითგანაზღვრული ცხოვრებისეული ისტორიების კონსტუირებას, თუმცა, ამას უხეში მონახაზით არ ვაკეთებთ და წლების გასვლასთან ერთად არ ვწყვეტთ მასზე მუშაობას. ცხოვრებისეული ისტორიების სათავეებს ჩვილობაში შეგვიძლია მივაკვლიოთ. ცხოვრებისეული ამბების შეთხზვის პროცესი ცხოვრების შუა

წლებამდე და შემდეგაც გრძელდება (Cohler, 1982; McAdams, 1990, 1993). ჩვილობასა და ბავშვობაში იმპლიციტურად „ვაგროვებთ მასალებს“ მომავალი ისტორიისთვის, რომელსაც ერთ დღეს შევქმნით. შეგროვილი მასალის სახესხვაობები — გამოცდილების მრავალფეროვნება, ადამიანები, რომლებსაც ვხვდებით და გამოწვევები, რომელთა წინაშეც ვდგებით — შეიძლება, საბოლოო ჯამში, გავლენას ახდენდეს ერთ დღეს შექმნილი მონათხრობის ბუნებაზე. მაგალითად, ბავშვობაში უსაფრთხო მიჯაჭვულობამ შეიძლება გაზარდოს ალბათობა იმისა, რომ მოგვიანებით შექმნილ ისტორიას ნდობისა და ოპტიმიზმის ნარატიული ტონი ექნება (McAdams, 1993). როდესაც მოზარდობის პერიოდს ვაღწევთ, უკვე გვაქვს წარმოდგენა, ვინ ვართ და საკმაოდ გამოცდილებითაც ვართ აღჭურვილნი, რათა უფრო მნიშვნელოვანი „რამ“ გავაერთიანოთ ჩვენს მონათხრობში, რაც იდენტობას დაუდებს საუფძველს. ეს არის ავტობიოგრაფიული რესურსები ჩვენი ცხოვრებისეული ისტორიებისთვის. ამ რესურსებით ბევრი რამის გაკეთება შეგვიძლია, ბევრი შესაძლებლობა გვაქვს, თუმცა, იდენტობაში სრულად ვერასოდეს გადავაბიჯებთ ხელთ არსებულ რესურსებს.

პიროვნების ცხოვრებისეული ისტორია ფსიქოსოციალური კონსტრუქციაა (McAdams, 1996a, წყაროში McAdams, 2006). ეს ნიშნავს იმას, რომ მართალია, ისტორიას ის პიროვნება ქმნის, ვისი ისტორიაც არის ის, მაგრამ ამის კონსტრუირების ანუ ნარატიული იდენტობის ფორმირების შესაძლებლობებს კულტურა განსაზღვრავს. ფაქტობრივად, კულტურა, გარკვეული თვალსაზრისით, პიროვნების თანაავტორია იდენტობის ფორმირებისას. სხვადასხვა ტიპის ისტორიები სხვადასხვაგვარ კულტურაში იძენს მნიშვნელობას. მაგალითად, მარტინ ლუთერის ნარატივები (McAdams, 2006, თავი 9) ემბაკთან ფიზიკური შეხვედრების შესახებ აზრიანი იყო XVI საუკუნის გერმანიაში, მაგრამ თანამედროვე მსმენელისთვის უცნაური და ყურის მომჭრელია.

გარდა ამისა, თანამედროვე საზოგადოებებში სხვადასხვა ჯგუფს სხვადასხვა ნარატიული შესაძლებლობები ეძლევა და სხვადასხვა ნარატიული შეზღუდვების წინაშე დგას. აქ განსაკუთრებით რელევანტურია თანამედროვე საზოგადოებაში არსებული გენდერული, რასობრივი და კლასობრივი დაყოფა.

როგორც ფსიქოსოციალური კონსტრუქციები, ცხოვრებისეული ისტორიები ემპირიულ ფაქტებს ეფუძნება, მაგრამ ამ ფაქტების მიღმაც გადიან. სხვა სიტყვებით, ცხოვრებისეული ისტორიები არ არის წმინდად ფაქტობრივი, თუმცა, არც წმინდად მონაგონს წარმოადგენენ. ისინი სადღაც შუაში მდებარეობენ (McAdams, D. P., 2006).

### ცხოვრება, როგორც ტექსტი

ადამიანები ფსიქოლოგებამდე გაცილებით ადრე ქმნიდნენ და ყვებოდნენ ამბებს თავიანთი პრობლემებისა და ცხოვრებისეული შესაძლებლობების შესახებ. პოეტები, მწერლები და რეჟისორები დღესაც ცდილობენ ადამიანის ცხოვრების საზრისის ინსაიტურ წვდომას მათ მიერ შექმნილი ისტორიებით, ისევე, როგორც ჩვენ (ბავშვებიც კი) ვეძიებთ ჭეშმარიტებას საკუთარი თავისა და ერთმანეთის შესახებ ამბების შექმნით, მოსმენითა და მოყოლით. ფროიდს, იუნგსა და ადლერს მიაჩნდათ, რომ ადამიანების მიერ მოყოლილი ისტორიების ინტერპრეტაცია ადამიანის პიროვნების ღრმად დაფლულ საიდუმლოებს მოჰფენდა ნათელს. გასული საუკუნის პირველი ნახევრის ამ სამმა დიდმა პიროვნებმა ფსიქოლოგმა ინტერპრეტაციის სამი სრულიად

განსხვავებული ხედვა შემოგვთავაზა. თუმცა, ის, რაც სამივე მათგანს საერთო ჰქონდა, იყო გზები, რომლითაც ცხოვრება ისტორიებს ემსგავსება და ამ ისტორიების მეშვეობით გამოვლენილი განსხვავებული და კომპლექსური შინაარსების დალაგებისადმი ერთგულება (McAdams, D. P., 2006).

ბოლო ოცი წლის განმავლობაში ფსიქოლოგებმა, როგორც ჩანს, თავიდან აღმოაჩინეს მონათხრობი (McAdams, 1999, წყაროში McAdams, 2006). დღესდღეობით განვითარების ფსიქოლოგთა მზარდი რაოდენობა იკვლევს, თუ როგორი დამოკიდებულებები აქვთ ბავშვებს ისტორიებისადმი/მონათხრობებისადმი და როგორ იყენებენ ისინი მათ თავიანთ დისკურსში (მაგალითად, იხ. Fivush & Haden, 2003; Lucariello, 1990; Pellegrini & Galda, 1990). განათლებით დაინტერესებული ფსიქოლოგები ხაზს უსვამენ ისტორიების მძლავრ როლს სწავლებასა და სწავლაში, განსაკუთრებით ღირებულებების სწავლასა და მორალურ განვითარებაში (მაგალითისთვის იხ. Tappan, 1990; Tapan & Brown, 1989; Vitz, 1990). სოციალური და პიროვნების ფსიქოლოგები სხვადასხვაგვარ ნარატიულ ანგარიშებს იკვლევენ, რომლებსაც მოზრდილები პირად პრობლემებთან გასამკლავებლად და პრობლემური ცხოვრებისეული მოვლენების ასახსნელად ქმნიან (მაგალითისთვის იხ. Baumeister, Stillwell, & Wotman, 1990; Harvey, Weber, Galvin, Huszti, & Garnick, 1986; Leith & Baumeister, 1998). ცხოვრებისეული გზის თეორეტიკოსები მოზრდილი ადამიანების ცხოვრების გაგებისას ნარატივის უპირატესობას ემხრობიან. ისეთი თეორეტიკოსების მიხედვით, როგორცაა კოპლერი (1982, 1990, წყაროში McAdams, 2006) და უიტბორნი (1985, წყაროში McAdams, 2006), მოზრდილი ადამიანის ცხოვრების გზას არ უნდა ვუყუროთ, როგორც განვითარების სტადიების მოწესრიგებულ, თანმიმდევრულ პროგრესიას და არც სტაბილური პიროვნული ნიშნების პროგნოზირებად გამოხატულებას, არამედ როგორც განვითარებად ნარატივს, რომელიც კულტურასა და ისტორიაში მდებარეობს.

ნარატიული ფსიქოლოგიის სამი გავლენიანი ავტორია თეოდორ სარბინი (1986), დონალდ პოლკინგჰორნი (1988) და ჯერომ ბრუნერი (1986, 1990). სარბინი (1986, წყაროში, McAdams, 2006) ამტკიცებს, რომ ნარატივს ბაზისური მეტაფორის ფუნქციის შესრულება შეუძლია თანამედროვე ფსიქოლოგიისთვის. ბაზისური მეტაფორა (Pepper, 1942, წყაროში, McAdams, 2006) არის სამყაროს გასაგებად მოწოდებული ბაზისური ანალოგია. დომინანტური ბაზისური მეტაფორა დასავლურ ცივილიზაციაში მექანიზმის ანუ მანქანის ბაზისური ანალოგია. ეს არის მანქანის სახესხვაობები და შეიძლება იყოს საათი, დინამო, კომპიუტერი, შიდა წვის ძრავა, ან ნებისმიერ სხვა მექანიზმი, რომლის მუშაობასაც შეგვიძლია შევადაროთ ადამიანის გონების მოქმედებას, ქცევა და საქმიანობას (Sarbin, 1986, წყაროში, McAdams, 2006). სარბინისთვის ნარატივი განმათავისუფლებელი მეტაფორაა ფსიქოლოგიისთვის, ვინაიდან ადამიანის იმ ნაწილს ავლენს, რომელიც სპეციფიკურად ადამიანურია, რითიც ადამიანები არ ჰგვანან მანქანას და ეს არის ის, რომ ისინი ბუნებით მთხრობელები არიან. ეს გვამღევეს იმის ნიუანსირებულ გაგებას, თუ როგორ არის ადამიანების ცხოვრება დაფუძნებული სოციალურ და ისტორიულ კონტექსტში. პოლკინგჰორნი (1988) ეთანხმება მას. ის ამტკიცებს, რომ ადამიანის შესახებ მეცნიერებების ანუ ადამიანის ქცევის შესახებ მეცნიერებების გულში ნარატიული ცოდნა ძვეს.

როგორც უკვე ვიცით, ბრუნერი თვლის, რომ ადამიანის აზროვნების ნარატიული მეთოდი განსაკუთრებით კარგად ემსახურება ადამიანის ინტენციებისა და მოქმედებების ანალიზს, ხოლო პარადიგმული მეთოდი ფიზიკური მიზეზ-შედეგობრივ

ახსნებს უკეთ ართმევს თავს. ის (1990), აგრეთვე, მიუთითებს, რომ ადამიანის შესახებ მეცნიერებების ფარგლებში მონათხრობები განსაკუთრებით გამოსადეგია ისეთი მოვლენების ასახსნელად, რომლებიც არ ერგებიან სოციალურად ახსნად პატერნებს. ანალოგიურად, ჩაფე (1990, წყაროში McAdams, 2006) წერს, რომ ადამიანები მაშინ ქმნიან ისტორიებს, როდესაც კონკრეტული მოვლენა ან ფენომენი ძნელად აიხსნება.

### კარგი ნარატივის შეფასების კრიტერიუმები

ადამიანები, ცნობიერად თუ არაცნობიერად, მთელი თავიანთი მოზრილი ცხოვრების განმავლობაში მუშაობენ თავიანთ ცხოვრებისეულ ისტორიებზე. ზოგჯერ ეს სწრაფად და ენერგიულად ხდება. იდენტობის ძირითადი ცვლილებების პერიოდებს შეიძლება მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული ცვლილებები სდევდეს თან, როგორც არის დაქორწინება ან განქორწინება, პირველი შვილის დაბადება, სამსახურის შეცვლა, საცხოვრებელი ადგილის შეცვლა, მშობლის გარდაცვალება, მენოპაუზა ან პენსიაზე გასვლა. ისინი სიმბოლურ წყალგამყოფებსაც შეიძლება შეესაბამებოდნენ ცხოვრებაში, როგორც არის მეორმოცე დაბადების დღე, უმცროსი ვაჟიშვილის ქორწილი, პენსიაზე გასვლა და თმაში პირველი ჭადარის გამოჩენაც კი. ასეთ პერიოდებში მოზრდილებმა შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენონ დაშვებები, რომლითაც მანამდე ცხოვრობდნენ. მათ შეიძლება ახალი თემებისა და პერსონაჟების ჩართვით გადაახალისონ თავიანთი ისტორია, სხვა სცენები გამოკვეთონ წარსულიდან და სხვა რამეს მოელოდნენ მომავლისგან. ისტორიის დასასრულის ცვლილების განცდამ, შესაძლოა, არსებითად შეცვალოს მთლიანი ისტორია და მთლიანმა ნარატივმა სულ სხვა ორიენტაცია აიღოს. ზოგჯერ მოზრდილების ცხოვრებაში შედარებითი სტაბილობისა და იდენტობის პერიოდები დგება. ამ დროს ისტორიები ნელა ვითარდება და მცირედით თუ იცვლება. ადამიანებმა შეიძლება მხოლოდ ოდნავ დახვეწონ ცხოვრებისეული თემები. ასეთ პერიოდებში არ აღინიშნება იდენტობის მძაფრი ცვლილებები (McAdams, D. P., 2006).

მიუხედავად მეტ-ნაკლებად სწრაფი თუ ნელი განვითარებისა, ყველა ცხოვრება განსხვავებულია გარკვეული თვალსაზრისით და თითოეული მათგანი განვითარების უნიკალურ კურსს მიჰყვება. და მაინც, შესაძლებელია, რომ ადამიანების მიერ ისტორიების თხრობაში განვითარების გარკვეული ტენდენციები დავინახოთ, როდესაც ისინი შუა მოზრდილობას უახლოვდებიან. ამ დროს ჩნდება განცდა, რომ იდენტობის განვითარება იდეალურად უნდა მიუახლოვდეს მზარდად კარგ ნარატიულ ფორმას (McAdams, D. P., 1993).

მაკადამსი (2006) კარგი ცხოვრებისეული ისტორიის ექვს სტანდარტს გამოყოფს:

(ა) თანმიმდევრულობა, (ბ) ღიაობა, (გ) სანდოობა, (დ) დიფერენციაცია, (ე) რეკონსოლიდაცია და (ვ) გენერაციული ინტეგრაცია. ადამიანის იდენტობის „კარგი ისტორია“ ანუ ნარატივი, რომელიც მნიშვნელოვან მოწიფულობას მოიაზრებს ერთიან და მიზანმიმართულ ცხოვრებაში, არის ის, რომელიც მაღალ შეფასებას იღებს ამ ექვსი კრიტერიუმის მიხედვით.

(1) თანმიმდევრულობა შეეხება იმას, თუ რამდენად საზრიანია თავისთავად მოცემული მონათხრობი. აკეთებენ თუ არა პერსონაჟები ისეთ რამეს, რაც ადეკვატურია მოცემული მონათხრობის კონტექსტში? გასაგებია თუ არა მათი ქცევის მოტივაცია იმის კონტექსტში, რაც ვიცით იმის შესახებ, თუ როგორ მოქმედებენ ადამიანები ზოგადად?

ეწინააღმდეგებიან თუ არა ერთმანეთს ისტორიის ნაწილები? თანმიმდევრობას მოკლებულია ამბავი, რომელიც მკითხველს შეფიქრიანებულს ტოვებს და აფიქრებს, თუ რატომ განვითარდა ამბავი ასეთი უცნაური, დამაბნეველი მიმართულებით. თუმცა, ზოგიერთი მონათხრობი ზედმეტად თანმიმდევრულია. ისინი იმდენად კარგად ერგებიან ერთმანეთს, რომ ძნელი დასაჯერებელია, რომ მათში სიმართლეა მოთხრობილი. არ არის აუცილებელი, რომ ცხოვრებისეულ ისტორიაში ყველაფერი ზუსტად ერგებოდეს ინდივიდის ცხოვრებას. ჩვენ არ გვჭირდება იდეალური თანმიმდევრულობა, რათა მთლიანობასა და მიზნობრიობას მივაღწიოთ ცხოვრებაში (McAdams, D. P., 2006).

(2) კარგია ის ცხოვრებისეული ისტორია, რომელიც მნიშვნელოვნად ღიაა ცვლილებებისადმი და ტოლერანტულია ბუნდოვანებისადმი. ასეთი ისტორიები პიროვნებას მომავლისკენ ამოდრავებენ იმით, რომ ღიად ტოვებენ მთელ რიგ განსხვავებულ ალტერნატივებს სამომავლო მოქმედებისა და აზრებისთვის. ცხოვრებისეული ისტორიები ფლექსიბური და მოქნილი უნდა იყოს. მათ უნდა შეეძლოთ შეცვლა, გაზრდა და განვითარება ისევე, როგორც თავად ჩვენ. თუმცა, ღიაობის კრიტერიუმის მიხედვით ძნელად თუ ვიმსჯელებთ ცხოვრებისეულ ნარატივზე, რადგან ყოველთვის არის საშიშროება, რადგან ჭარბი ღიაობა ვალდებულებისა და გადაწყვეტის არარსებობას ასახავს (McAdams, D. P., 2006).

(3) მესამე სტანდარტია სანდოობა. კარგი, მოწიფული და ადაპტური ცხოვრებისეული ისტორია ვერ დაეფუძნება ბევრ დამახინჯებას. იდენტობა ფანტაზია არ არის. ადამიანები ნამდვილად ქმნიან თავიანთ იდენტობებს, მაგრამ მათ ისინი ჰაერიდან არ მოაქვთ, როგორც, მაგალითად, ლექსი ან რომანი. იდენტობის შემთხვევაში, კარგი ისტორია იმ ფაქტებს უნდა ეყრდნობოდეს და მათით აიხსნებოდეს, რომელსაც შეგვიძლია გავეცნოთ ან მოვიძიოთ. მართალია, იდენტობა წარმოსახვის კრეატიული სამუშაოა, ის მაინც იმ რეალურ სამყაროს ეყრდნობა, რომელშიც ყველამ უნდა ვიცხოვროთ (McAdams, D. P., 2006).

(4) კარგი ისტორია მდიდარია პერსონაჟებით, სიუჟეტითა და თემით. მკითხველი ჩახლართული ტექსტურის მქონე სამყაროში შედის, რომელიც სავსეა თავისი დამაინტრიგებელი გზებით განვითარებადი სისხლ-ხორციით სავსე პერსონაჟებით, რომელთა ქმედებები და ურთიერთქმედებები განსაზღვრავენ დამაჯერებელ სიუჟეტებს და ქვესიუჟეტებს. სხვა სიტყვებით, კარგი ისტორია კარგად დიფერენცირებული უნდა იყოს. ასევე, ის მზარდი დიფერენციაციისკენ უნდა ვითარდებოდეს. მოზრდილის მოწიფულობასთან და ახალი გამოცდილების შეძენასთან ერთად, მისი ნარატიული იდენტობა უფრო და უფრო მეტ მახასიათებელსა და ასპექტს იძენს. ის უფრო მდიდარი, ღრმა და მეტად კომპლექსური ხდება (McAdams, D. P., 2006).

(5) თუმცა, დიფერენციაციის მატებასთან ერთად, მოზრდილი მონათხრობში კონფლიქტურ ძალებს შორის რეკონსოლიდაციასაც და მრავალშრიანი მე-ს ჰარმონიზაციასაც უნდა ესწრაფვოდეს. კარგი ისტორია მძიმე საკითხებსა და დინამიკურ წინააღმდეგობებს წამოჭრის. ის, ასევე, ნარატიულ გადაწყვეტებსაც გვთავაზობს, რომელიც მე-ს ჰარმონიასა და ინტეგრაციას ამყარებს. რეკონსოლიდაცია ერთ-ერთი რთული საკითხია ცხოვრებისეული ისტორიების აგებისას, განსაკუთრებით შუა წლებსა და შემდგომ პერიოდში (McAdams, D. P., 2006).

(6) კარგი ისტორიის მეექვსე სტანდარტი არის ის, რასაც გენერაციული ინტეგრაცია შეგვიძლია ვუწოდოთ. ამ კრიტერიუმის გასაგებად, კიდევ ერთხელ უნდა

გავიხსენოთ, რომ ცხოვრებისეული ისტორია ადამიანის ცხოვრებას შეეხება. ეს არ არის უბრალოდ ამბავი, რომელიც სადღაც ჟურნალში ამოიკითხეთ. ეს ისტორიის კონკრეტულ მომენტში კონკრეტულ საზოგადოებაში მცხოვრები რეალური პიროვნების კონკრეტული ცხოვრების მითიური გარდასახვაა. ცხოვრებისეული ისტორია უფრო მეტად ესწრაფვის თანმიმდევრულობას, სანდოობასა და რეკონსოლიდაციას, ვიდრე რომელიმე წმინდად მხატვრული მოთხრობა. გარდა ამისა, ადამიანის ცხოვრება სოციალურ და ეთიკურ კონტექსტში არსებობს, რომელიც ზოგადად ისევე მიესადაგება ან არ მიესადაგება სხვა სახის მონათხრობებს (Booth, 1988, წყაროში McAdams, 2006).

მოწიფული იდენტობის შემთხვევაში, მოზრდილ ადამიანს შეუძლია საზოგადოების პროდუქტულ და წვლილის შემტან წევრად ფუნქციონირება. მას შეუძლია მოზრდილის როლების აღება სამსახურსა და ოჯახში; მომავალი თაობის აღზრდა, ხელშეწყობა და ინსტრუქტირება, რათა თავისი მცირე თუ დიდი წვლილი შეიტანოს კაცობრიობის გადარჩენაში, გაუმჯობესებასა და პროგრესულ განვითარებაში. მოწიფული იდენტობა მოზრდილობაში სოციალურ სამყაროში კრეატიულ ჩართულობას საჭიროებს, რომელიც უფრო დიდი და მუდმივია, ვიდრე თავად „მე“. სწორედ სამყაროზე და საკუთარ მე-ზე უნდა იყოს ნარატივი/ისტორია ორიენტირებული. იდეალურ შემთხვევაში, მოთხრობელის მიერ ერთიანობისა და ცხოვრების მიზნების ძიებამ სარგებელი უნდა მოუტანოს როგორც ისტორიის შექმნელ პიროვნებას, ისე — საზოგადოებას, რომელშიც ეს ისტორია იქმნება (McAdams, D. P., 2006).

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Allport, G. W. *Personality - A Psychological Interpretation*. New York: Henry Holt and Company, 1937.
2. Atkinson, R. *The Life Story Interview*. Thousand Oaks, London, New Delhi: Sage Publications, 1998.
3. Bruner, J. Life as Narrative. *Social Research*, 1991, vol. 71. N3, 691-710,.
4. Crossley, M. L. *Introducing Narrative Psychology: Self, Trauma and Construction of Meaning*. Buckingham, Philadelphia : Open University Press, 2011.
5. Gergen, K. J., & Gergen M. M. Narrative form and the construction of psychological science. T. R, *Narrative Psychology*. 22-44. New York: Praeger, 1986.
6. Gergen, M. M. & Gergen, K. J. Narratives of the gendered body in popular autobiography. R. J. *The Narrative Study of Lives (Vol.1)*, 191-218. Thousand Oaks, CA: Sage, 1993.
7. Hermans, H. Voicing the self: From information processing to dialogical interchange. *Psychological Bulletin*, 199, 31-50, 1996.
8. Hermans, H.J.M. & Kempen, H.J.G., & van Loon, R.J.P. The dialogical self: Beyond individualism and rationalism. *American Psychologist*, 1992, 47, 23-33.
9. Hogan, R.; Johnson, J. and Briggs, S. *Handbook of Personality Psychology*. San Diego: Academic Press, 1997.
10. Mattingly, Ch. *Healing Dramas and Clinical Plots: The narrative structure of experience*. Cambridge, UK: Cambridge University Press, 2002.
11. McAdams, D. P. *Power, intimacy, and the life story: Personological inquiries into identity*. New York: Guilford Press, 1985.
12. McAdams, D. P. *The Stories we live by: Personal Myths and the Making of the Self*. New York: Morrow, 1993.
13. McAdams, D. P. *The Person: A New Introduction to Personality Psychology, 4th Edition*. USA: John Wiley & Sons, Inc, 2006.

14. McAdams, D. P. The Role of Narrative in Personality psychology Today. *Narrative Inquiry*, 2006, 16-1, 11-18.
15. McAdams, D. P. Personal Narratives and the Life Story. O. P. John, R. W. Robins, & L. A. Pervin, *Handbook of Personality: Theory and Research, 3rd ed.*, 2008, 242-262. New York, London: Guilford press.
16. Polkinghorne, D. E. Narrative and Self-Concept. *Journal of narrative and life history*, 1991, 135-153.
17. Tomkins, S. S. Script Theory. H. E., *Nebraska Symposium on Motivation*, 1979, vol. 26, 201-236. Lincoln: University Nebraska Press.
18. Wells, K. *Narrative Inquiry*. Oxford: University Press, 2011.

---

**Article received:** 2013-06-05